

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე  
დამკვირვებელთა ქსელისა (CEE Bankwatch Network)  
და მისი წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების:  
“ეკო-სვესტის” (მაკედონია),  
ასოციაცია “შწვანე ალტერნატივისა” (საქართველო) და  
“ზელენა აქცია/დედამიწის მეგობრების” (ხორვატია)



გარემოსდაცვითი და სოციალური  
სამართლიანობისთვის  
საქართველოში



მონიტორინგს ვუწევთ  
საერთაშორისო საფინანსო  
ინსტიტუტების საქმიანობას

## ერთობლივი პრესრელიზი

16 იანვარი, 2014

ფარავანი ჰესის პროექტში, ისევე, როგორც მაკედონიასა და ხორვატიაში დაგეგმილ ჰიდროპროექტებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შიდა გამოძიებამ გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დარღვევები დაადასტურა.

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (ერგბ) ისე გამოყო დაფინანსება ჰიდროელექტროსადგურების სამი პროექტის განსახორციელებლად მაკედონიაში, ხორვატიასა და საქართველოში, რომ ამ პროექტების სრულფასოვანი შეფასება არ ჩაუტარებია“ - ნათქვამია ბანკის შიდა გამოძიების დასკვნაში. გამოძიება კი მას შემდეგ დაიწყო, რაც CEE Bankwatch Network-ის წევრმა ორგანიზაციებმა აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ოფიციალური საჩივრებით მიმართეს. არასამთავრობო ორგანიზაციები აფრთხილებენ ბანკს, რომ მის მიერ პროექტების არასრულფასოვანი შეფასება უკვე სამწუხარო ტენდენციად იქცა, რაც ბანკირების ზედმეტი თავდაჯერებულობის მაჩვენებელია. ბანკი რატომღაც თვლის, რომ გარემოსადმი მიყენებული ნებისმიერი ზიანი „მართვადია“. რა თქმა უნდა, მსგავსი მიდგომა, ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით, ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე იმის აღიარება, რომ ზოგიერთი პროექტის განხორციელება, უბრალოდ, არ შეიძლება.

ერგბ-ს პროექტებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ორგანომ (Projects Complaints Mechanism, PCM) (ერგბ-ს ორგანო, რომელიც შექმნილია ბანკის გადაწყვეტილებების ბანკისვე გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან შესაბამისობის დასადგენად) ბანკის მიერ სამი ჰიდროელექტროსადგურის პროექტის დაფინანსების თაობაზე სამი სხვადასხვა ანგარიში გამოაქვეყნა. ეს ჰიდროელექტროსადგურებია: ბოსკოვ მოსტი (Boskov Most) მაკედონიაში (1), ომბლა (Ombla) ხორვატიაში (2) და ფარავნის ჰიდროელექტროსადგური საქართველოში. სამივე შემთხვევაში დადგინდა, რომ ბანკმა დაარღვია საკუთარი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, არასწორად შეაფასა რა პროექტების ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, ამ პროექტების მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებამდე. ამას გარდა, ბანკმა ვერ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების სათანადო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

„ბანკის ეს შიდა ანგარიშები ადასტურებს იმას, რაც ჩვენ თავიდანვე ვიცოდით: „თუ ბანკს სურს ამა თუ იმ პროექტის დაფინანსება, ზოგ შემთხვევაში, ის უგულვებელყოფს კიდევ პროექტებში არსებულ სერიოზულ გარემოსდაცვით

თბილისი, 0179, საქართველო  
ვალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.  
ტელეფონი: (995 32) 29 27 73  
ფაქსი: (995 32) 22 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

რისკებს“, - აცხადებს CEE Bankwatch Network-ის მაკედონიელი კოორდინატორი ანა ჩოლოვიჩი.

„ნუ ვიქნებით მიამიტები“, - აგრძელებს ჩოლოვიჩი. „ეს ბანკის მიერ დაშვებული უნებლიე შეცდომები არ არის. პირიქით, პროექტების დამტკიცება მათი განმხორციელებლების დაპირებების საფუძველზე და იმის დაშვება, რომ გარემოზე მოგვიანებით, ელექტროსადგურების მშენებლობის პროცესში იზრუნებენ, ერგბ-ს შეგნებული არჩევანია. ის, რასაც საბოლოოდ ვიღებთ, მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოებია, იმ დროს, როდესაც გარემოს სერიოზული ზიანი ადგება“.

„ომბლას და ბოშკოვ მოსტის შემთხვევებში, ერგბ-მ პროექტები უხარისხო გარემოსდაცვითი შეფასებების საფუძველზე ისე დაამტკიცა, რომ დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფაუნის შესახებაც კი არ ჰქონდა დეტალური ინფორმაცია“, - აცხადებს „ზელენა აქცია“ წარმომადგენელი, იაგოდა მიუნჩი. „პროექტების დასაწყებად ამგვარი სიჩქარე კატეგორიულად მიუღებელია. ჯერ პროექტების დამტკიცების და ამის შემდეგ დამატებითი კვლევების განხორციელების არსებული პრაქტიკა უბრალოდ არ მუშაობს. ეს ასევე ზღუდავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის უფლებას მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია პროცესზე ზემოქმედება“.

ერგბ-ი თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ახალ პროექტს, სავარაუდოდ, მიმდინარე თვის ბოლოს გამოაქვეყნებს. CEE Bankwatch Network-ი და მისი წევრი ორგანიზაციები მოუწოდებენ ერგბ-ს, ახალ პოლიტიკაში გაამკაცროს პროექტის შეფასებისა და საზოგადოების მონაწილეობის სტანდარტები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უზრუნველყოს, რომ ქაღალდზე გაცხადებული ბანკის პოლიტიკა რეალურ პრაქტიკად იქცეს.

უახლოესი ტესტი იმის შესამოწმებლად, გააუმჯობესა თუ არა ბანკმა თავისი პრაქტიკა საჩივრების განხილვის ორგანოს გაფრთხილებების შედეგად, არის ახალი ჰიდროელექტროსადგურის პროექტი საქართველოში, მდინარე აჭარისწყალზე. მიუხედავად გარემოსდაცვითი რისკებისა, ბანკი მაინც იხილავს ამ პროექტის დაფინანსების შესაძლებლობის საკითხს,

„როგორც მოსალოდნელი იყო, ბანკის იმ დეპარტამენტებს, რომლებიც პოლიტიკის შეუსრულებლობაში დადანაშაუდნენ, საჩივრების განხილვის ორგანოს დასკვნების მიღება გაუჭირდათ“, - აცხადებს ფიდანკა ბაჩევა-მაკგრეთი. „არაა გასაკვირი, რომ ერგბ-ს ექვს თვეზე მეტი დასჭირდა დოკუმენტების გასაჯაროებისთვის! ახლა მხოლოდ ის და დაგვრჩენია, დაველოდოთ, რა ზეგავლენას იქონიებს ეს დასკვნები ახალ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასა და ბანკის საჩივრების განხილვის ორგანოს სამოქმედო წესებზე; უნდა ველოდოთ უკეთეს პოლიტიკას, თუ პირიქით, ამჟამად მოქმედი პოლიტიკის და უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრებისათვის აღებული ვალდებულებების შესუსტებას?“.

#### **საკონტაქტო ინფორმაცია:**

##### **ფიდანკა ბაჩევა-მაკგრეთი**

ერგბ-ს კოორდინატორი

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელი, [fidankab@bankwatch.org](mailto:fidankab@bankwatch.org)

##### **ომბლას ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე:**

იაგოდა მიუნჩი

ზელენა აქცია/დედამიწის მეგობრები - ხორვატია

[jagoda@zelena-akcija.hr](mailto:jagoda@zelena-akcija.hr)

Tel. +385 1 4813 096

Mob. +385 (0)981 795 690

##### **ბოშკოვ მოსტის ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე:**

ანა ჩოლოვიჩი

ეკო-სვესტი

[ana@bankwatch.org](mailto:ana@bankwatch.org)

##### **საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების პროექტებზე:**

დავით ჭიპაშვილი

სამივე პროექტის შესახებ ერგბ-ს საჩივრების განხილვის ორგანოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე: <http://www.ebrd.com/pages/project/pcm/register.shtml>

### **მოკლე ინფორმაცია ხსენებული პროექტების შესახებ:**

(1) ერგბ-ს მიერ 2011 წელს დამტკიცებული 70 მგვტ სიმძლავრის ბომკოვ მოსტის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაგეგმილია მავროვოს ეროვნულ პარკის ტერიტორიაზე, ბისტრას მთაზე, რომელიც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ბალკანური ფოცხვერის გამრავლების არეალია. გარემოსდაცვითმა ორგანიზაცია „ეკო-სვესტმა“ 2011 წელს საჩივრით მიმართა საჩივრების განხილვის ორგანოს, იმის გამო, რომ ბანკმა არ ჩაატარა სრულფასოვანი კვლევა პროექტის დამტკიცებამდე და შესაბამისად, არ აღიარა საპროექტო არეალი კრიტიკულ ჰაბიტატად. საჩივრების განხილვის ორგანოს ანგარიშის თანახმად, პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე არ იყო შესაფერისად შესწავლილი, რის გამოც დაირღვა ერგბ-ს 2008 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები; ამას კი, ავტომატურად მოჰყვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ბანკის პოლიტიკაში არსებული შესაბამისი მუხლების დარღვევაც.

(2) ერგბ-მ 68 მგვტ სიმძლავრის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ხორვატიაში იმ პირობით დაამტკიცა, რომ დამატებით ჩატარებოდა პროექტის ბუნებაზე ზემოქმედების შეფასება. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმებოდა დუბროვნიკთან ახლოს არსებულ გამოქვაბულთა კომპლექსში, Natura 2000-ის ქსელში ჩასართავ ტერიტორიაზე. ეს არეალი არ იყო სრულად გამოკვლეული, თუმცა ცნობილი იყო, რომ ტერიტორია წარმოადგენდა ენდემური სახეობების ჰაბიტატს. „ზელენა აქცია/დედამიწის მეგობრებმა“ საჩივარი შეიტანა საჩივრების განხილვის ორგანოში, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ერგბ-მ ვერ უზრუნველყო სათანადო გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება პროექტის დამტკიცებამდე; მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ პროექტი გამოიწვევდა კრიტიკული ჰაბიტატების დაზიანებას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე; ასევე, სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჩივრების განხილვის ორგანოს ანგარიში ადასტურებს, რომ ერგბ-ს გარემოსდაცვითი პოლიტიკის თანახმად, ბანკის მიერ პროექტის დამტკიცებამდე აუცილებელი იყო ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შეფასება; აღნიშნულის შეუსრულებლობამ კი, საზოგადოებრივი კონსულტაციების არასათანადოდ ჩატარება გამოიწვია.

(3) 2011 წლის ივლისში ერგბ-მ დაამტკიცა 87 მგვტ სიმძლავრის დერივაციული ტიპის ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი საქართველოში. პროექტი ითვალისწინებს 14 კმ-ის სიგრძის სადერივაციო გვირაბის მშენებლობას, რომლითაც სოფელ ხერთვისთან უნდა მოხდეს მდინარე ფარავნის გადაგდება მდინარე მტკვარში. პროექტის განხორციელების შემთხვევაში წლის გარკვეულ პერიოდებში, მდინარე ფარავანში მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის მხოლოდ 10%-ი დარჩება. ეს კი ვერ უზრუნველყოფს მდინარის ქვედა ბიეფში არსებული ფლორისა და ფაუნის გადარჩენას და ამავდროულად, სოფელ ხერთვისის დატბორვის მნიშვნელოვან რისკებს ქმნის. გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ საჩივარი 2011 წლის დეკემბერში შეიტანა; საჩივრების განხილვის ორგანომ კი, მხოლოდ ახლა დაადასტურა ერგბ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დარღვევები პოლიტიკის სამ ნაწილში, რომელიც ბიომრავალფეროვნებასა და საზოგადოების მონაწილეობას ეხება.